სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა.

შპს ფეიბოქსი (404879921) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კრონშტანტის ქ., №47 , შპს ფეიბოქსი არის შპს „ნუმუსი“ - ს 50 % წილის მფლობელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანია შპს ფეიბოქსი (404879921) ფუნქციონირებს საქართველოს ბაზარზე, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგადასახადო კიოსკების აწყობა, როგორც საკუთარი მოხმარებისთვის, ისე გასაყიდად და მისი როგორც ტექნიკური, ისე პროგრამული მომსახურება.

აღრიცვის ძირითადი პრინციპი

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით, სადაც დაცულია ასევე შესაბამისობის პრინციპი - სამეურნეო წლის განმავლობაში აღრიცხულ შემოსავალს უპირისპირდება ამ შემოსავლებისათვის გაწეული ხარჯები. რაც შეხება წინასწარ გადახდილ თანხებს, ისინი აღირიცხება წინასწარ გაწეული ხარჯების ან ავანსად მიღებული შემოსავლების ანგარიშზე, რომელიც შესაბამისი პერიოდის დასრულებისას გადადის ხარჯისა და შემოსავლების საანგარიშგებო მუხლებზე.

კომპანიისათვის საანგარიშსწორებო ვალუტა არის ლარი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ნებისმიერ სხვა ვალუტაში დადებული კონტრაქტი აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში ტრანზაქციის განხორციელების თარიღისათვის.

კომპანია დარიცხვის მეთოდით ამზადებს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებებს, ხოლო ფულადი სახსრების ანგარიშგება მომზადებული იქნება საკასო მეთოდით.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციით.

აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

სალაროს და ბანკის ოპერაციების აღრიცხვა

კომპანია ძირითად ტრანზაქციებს ახორციელებს საბანკო ანგარიშების მეშვეობით, თუმცა ძალიან მცირე წაწილი ნაღდი ფულის ოპერაციებიც.

ბანკის სავალუტე ანგაიშებზე ტრანზაქციები აღირიცხება ტრანზაქციის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად, ხოლო ყოველი თვის ბოლოს ხდება სავალუტე ანაგრიშების გადაფასება თვის ბოლოს დადგენილი კურსის მიხედვით. საბანკო ანგარიშების გადაფასებით მიღებული დადებითი ან უარყოფითი საკურსო სხვაობები აღირიცხება შემოსავლბისა და ხარჯების შესაბამის ანგარიშებზე („დადებითი საკურსო სხვაობები“ ან „უარყოფითი საკურსო სხვაობები“).

ანგარიშვალდებულ პირებთან ოპერაციები

კომპანიას ყავს ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც განსაზღვრული არიან დირექტორის ბრძანებით. მათ მიერ ხორციელდება მცირედი შესყიდვები სამეურნეო დანიშნულებით. კომპანია ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულ თანხებს აღრიცხავს 1430 – „მოთხოვნები პერსონალის მიმართ“ ანგარიშზე კონკრეტული თანამშრომლის მიხედვით, რაზეც აფორმებს სალაროს გასავლის ორდერს. ყოველი თვის ბოლოს ხდება ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხებისა და მათ მიერ წარმოდგენილი ხარჯვის დოკუმენტების შედარება. თუ ანგარიშვალდებულმა პირმა ვერ მოახდინა სრულად მასზე გაცემული თანხის განაშთვა წარმოდგენილი დოკუმენტებით, დარჩენილი თანხის ნაშთი ბრუნდება სალაროში თვის ბოლო რიცხისათვის, რაზეც ასევე დგება სალაროს შემოსავლის ორდერი.

შესაძლებელია ანგარიშვალდებულმა პირმა თავისი სახსრებით მოახდინოს კომპანიისათვის შესყიდვა, რაზეც წარმოადგენს დოკუმენტებს (სასაქონლო ზედდებული, ანგარიშ-ფაქტურა, სალაროს გადახდის ჩეკი). დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში ანგარიშვალდებული პირის წინაშე კომპანიის დავალიანება აღირიცხება 3160 – „ვალდებულებები პერსონალის მიმართ“ ანგარიშზე, ხოლო თანხის გაცემის დროს (ბანკით ან სალაროთი) მოხდება ამ ანგარიშის განაშთვა.

შესაძლებელია ერთი და იგივე ანგარიშვალდებული პირის მიმართ კომპანიას გააჩნდეს როგორც მოთხოვნა, ისე ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში თვის ბოლოს ამ პირთან შედგება შედარების აქტი, რომლის საფუძველზეც მოხდება მოთხოვნა-ვალდებულების გადახურვა.

ანგარიშვალდებული პირის ანგარიშზე აღირიცხება ასევე სამივლინებო თანხები. კერძოდ, თუ თანამშრომელზე სამივლინებო ანაზღაურება გაიცემა მივლინებაში წასვლის წინ, მაშინ გაცემული თანხა გატარდება 1430 – „მოთხოვნები პერსონალის მიმართ“ ანგარიშზე და შემდგომში მივლინების დოკუმენტების წარდგენისას მოხდება ამ ანგარიშის განაშთვა, ხოლო თუ თანამშრომელზე სამივლინებო ანაზღაურება გაიცემა მივლინებიდან ჩამოსვლის შემდეგ, მაშინ სამივლინებო დანხარჯები აღირიცხება 3160 – „ვალდებულებები პერსონალის მიმართ“ ანგარიშზე, ხოლო თანხის გაცემის დროს (ბანკით ან სალაროთი) მოხდება ამ ანგარიშის განაშთვა.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან აღრიცხვა

კომპანია აღრიცხავს მოთხოვნებს მიწოდებიდან და მომსახურებიდან 1400 ჯგუფის ანგარიშებზე. კერძოდ 1410 ანგარიშზე აღრიცხავს ძირითადი საქმიანობიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს.

კომპანიას აქვს ბუღალტრული პროგრამა, რომელზე დაყრდნობითაც კეთდება დებიტორული დავალიანებების ნაშთების ანალიზი.

ყოველი წლის ბოლოს მოხდება დებიტორული დავალიანებების განხილვა ფინანსური განყოფილების მიერ მათი წარმოშობის ვადიანობის მიხედვით. განხილვის შედეგად თუ აღმოჩნდა მენეჯმენტის გადაწყვეტილებით რომ რომელიმე დავალიანება უიმედოა, დგება ამ უიმედო დავალიანებებზე შესაბამისი ჩამოწერის აქტი და ხდება მათი ჩამოწერა

ასევე კომპანიის სპეციფიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით ყოველი წლის ბოლოს ხდება საეჭვო ვალების რეზერვის შექმნა. საეჭვო ვალების დაანგარიშების წესს ადგენს მენეჯმენტი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები, რომელიც:

ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში

ბ) მონაწილეობენ წარმოების პროცესში და ასევე გათვალისწინებულია გასაყიდად;

გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.
კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე (იგი არ ვაჭრობს საქონლით და არც აწარმოებს რაიმე სახის პროდუქციას), სასაქონლო მარაგებში აღრიცხული აქვს ისეთი საქონელი, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად. ანგარიშგების პერიოდისთვის კომპანიას მარაგების ნაშთად აყვანილი ჰყავს, მხოლოდ წამკითხველი მოწყობილობა, რომლის ღირებულებაც არის 2386 ლარი.

სასაქონლო მატერიალური მარაგები კომპანიაში აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სასაქონლო მარაგები შეძენის დროს აღირიცხება რაოდენობის და სახეობების მიხედვით

სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხდება შესაბამისი აქტის საფუძველზე საშუალო შეწონილი მეთოდით,

ძირითადი საშუალებები

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

ა) იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის

და

ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად;

ამავდროულად ძირითადი საშუალებები უნდა აღიარდეს აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების ზემოთ მოყვანილ განმარტებას და მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მისი ძირითადი საშუალებები იქნება:

- კომპიუტერული და საოფისე ელექროტექნიკა ადმინისტრაციული მიზნებისათვის
- ავეჯი ადმინისტრაციული მიზნებისათვის
- ინვენტარი
- სხვა ძირითადი საშუალებებლი

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ისტორიული ღირებულებით, ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ისტორიული ღირებულება მოიცავს შეძენის ფასს, ტრანსპორტირების და ყველა პირდაპირი დანახარჯების თანხებს ფასდათმობისა და უკან დაბრუნებადი გადასახადების გამოკლებით.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით. ცვეთას არიცხავს სასიცოცხლო ვადის პროპორციულად წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი მაჩვენებლებით:

ავტოსატრანსპორტო საშუალებები -	5 – 7 წელი;
კომპიუტერული და ელექტრო ტექნიკა	3 – 5 წელი;
ავეჯი	7 – 8 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები	5 – 8 წელი;

კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ მიმდინარე შეკეთებასა და შენახვა-ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლისთვისაც კომპანიას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება პროფილურ ორგანიზაციასთან. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში. შესაბამისად კომპანია მიმდინარე რემონტისა და ექსპლუატაციის (მაგალითად ავტომობილებისათვის ფილტრი და ზეთის შეცვლა) ხარჯებს აღრიცხავს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

თუ ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, სასიცოცხლო ვადის ზრდას, მისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას და აღირიცხება როგორც კაპიტალური დანახარჯები ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში.

კომპანიის პოლიტიკის მიხედვით თუ ავტომობილი გაქირავებულია მოკლევადიანი ხელშეკრულებით (ერთ თვეზე ნაკლები ვადით), მაშინ კომპანია იღებს ავტომობილთან დაკავშირებულ ყველა მიმდინარე და კაპიტალურ დანახარჯებს, ხოლო თუ ავტომობილი გაქირავებულია გრძელვადიანი ხელშეკრულებით (ერთ თვეზე მეტი ვადით), მაშინ კომპანია მომხმარებელს აკისრებს ავტომობილზე გასაწევ ყველა მიმდინარე და კაპიტალურ დანახარჯებს.

შემოსავლების აღრიცხვა

შემოსავლები აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით და გადახდის პირობების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მენეჯმენტმა გააკეთა დაშვება, რომ სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც მისი აქტივების ყველაზე დიდ წილს იკავებს, არ საჭიროებს გაუფასურების რეზერვს, რადგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მათი დავალიანების პერიოდი არის 150 დღეზე ნაკლები და ასევე, სტატისტიკურად, სავაჭრო მოთხოვნების მიუღებლობას ადგილი არ ჰქონია.

3. შემოსავლები

	2023	2022
კიოსკების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	371 516	657 113
პროვაიდერული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	2 656 035	775 458
სხვა შემოსავლები	134 289	633 457
სულ:	**3 163 863**	**2 066 028**

4. სასაქონლო მატერიალური ფასებულებები

	2023	2022
გასაყიდად გამიზნული მასალები	1 979 807	176 593
სხვა მარაგები	4 308	1 218
სულ	1 984 115	177 811

სარი ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 1 ოქტომბერს



ფინანსური მდგომარეობა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	562 659	118 780	4 048
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 355 230	333 480	1 664 656
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	944 968	235 040	-
მარაგები	1 984 115	177 811	135 609
მზა პროდუქცია	1 979 807	176 593	135 609
სხვა	4 308	1 218	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	24 635	33 448
ძირითადი საშუალებები	3 689 957	1 145 411	415 326
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	2 300 000	-
სულ აქტივები	***9 536 929***	***4 335 157***	***2 253 087***
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	79 418	30 690	-
სავაჭრო ვალდებულებები	5 940 983	651 118	616 200
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	409 055	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	7 796 008	3 559 204	2 701 957
სხვა ვალდებულებები	1 632 682	1 431 360	-
სულ ვალდებულებები	***15 449 091***	***6 081 427***	***3 318 157***
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	340 585	2 514 100	2 514 100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	- 6 252 747	- 4 073 246	- 3 579 170
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	- 187 124	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	- 5 912 162	- 1 746 270	- 1 065 070
სულ საკუთარი კაპიტალი	***- 5 912 162***	***- 1 746 270***	***- 1 065 070***
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	***9 536 929***	***4 335 157***	***2 253 087***
სულ მოკლევადიანი აქტივები	5 846 972	889 746	2 219 641
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	7 653 083	1 090 863	3 318 158



საქმიანობის შედეგები	31.12.2023	31.12.2022
ნეტო ამონაგები	3 163 863	2 066 028
საქონლის გაყიდვიდან	371 516	657 113
მომსახურების გაწევიდან	136 312	633 457
სხვა	2 656 035	775 458
გაყიდვების თვითღირებულება	- 205 319	- 350 275
საერთო მოგება	***2 958 544***	***1 715 753***
სხვა საოპერაციო შემოსავალი	4 018	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 2 377 434	- 869 665
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 247 456	- 39 287
საპროცენტო შემოსავალი	79 374	18 832
საპროცენტო ხარჯი	- 495 576	- 300 831
იჯარის ხარჯი	- 246 828	- 96 610
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 2 802 681	- 869 216
სულ საოპერაციო ხარჯები	- 6 086 583	- 2 156 777
საოპერაციო მოგება	- ***3 128 039***	- ***441 024***
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	- 3 128 039	- 441 024
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	- 3 128 039	- 441 024
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	- 1 731 820	-
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	- 1 396 219	- 441 024
მოგება / (ზარალი)	- 3 128 039	- 441 024
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	- 1 564 419	- 441 024
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	- 1 563 620	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	- 3 128 039	- 441 024
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	- 1 746 270	- 1 065 070
კაპიტალის სხვა ცვლილებები	- 1 037 853	- 240 176
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	- 5 912 162	- 1 746 270

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	16 335 146	5 629 199
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	- 15 832 174	- 5 563 668
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	502 972	65 531
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	- 59 093	49 201
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	118 780	4 048
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	562 659	118 780

